Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

# ხელშეკრულება № 8/13

ქ. თბილისი 1 აპრილი 2011 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, მისი მმართველის **დავით დოიაშვილის** სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი.მ "დიმა ფარმანიანი" (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია თეატრისათვის საღებავების (CPV – 44810000) შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 35.00 (ოცდათხუთმეტი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

## *3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი*

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 1 მაისამდე.
3.2. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

## *4. მიღება – ჩაბარების წესი*

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამყიდველი;
4.3 მყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

## *5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.
-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

## *6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 1 მაისამდე.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" კონფედენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

8.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## *9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური | ი.მ "დიმა ფარმანიანი" |
| კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ს/კ 201948928 | მისამართი: თბილისი ელიავას ბაზრობის ტერიტორია |
| ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182 | პირადი კოდი: 01030051506 |
| სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502, | ტელ: |
| ა/ა 123361000 | დირექტორი |
| თეატრის მმართველი | ხელმოწერა |
| დავით დოიაშვილი | |